ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1-2671

"29" დეკემბერი 2016 წ.

,,ქ. თბილისში, საბურთალოს ქ. №31ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.027.010), არსებული შენობის რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება),მასში საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულების მოწყობის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქ. თბილისის მერის 2012 წლის 24 ივლისის №2110 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2016 წლის 15 დეკემბრის №60 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქ. თბილისში, საბურთალოს ქ. №31ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.027.010), არსებული შენობის რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება), მასში საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულების მოწყობის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქ. თბილისის მერის 2012 წლის 24 ივლისის №2110 განკარგულებაში და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ცინცაძის ქ. №23-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.027.101), არსებული შენობის რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება, ამბულატორიის მოწყობა) მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ";

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ცინცაძის ქ. №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.027.101), არსებული შენობის სარეკონსტრუქციოდ (მიშენება-დაშენება, ამბულატორიის მოწყობა), განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,7, კ2=2,7.".

გ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია